



**2019 წლის 31 იანვრის**  
**სსიპ საქართველოს ადვოკატთა**  
**ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს**  
**სხდომის ოქმი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:**

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N33  
სხდომის დაწყების დრო: 19:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, გიორგი თევზაძე, დათუნა მოდებაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ნათია კორკოტაძე, ციცინო ცხვედიანი.

**საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება:**

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ მაგდა შინჯიკაშვილის, თემურ ადონიას და ფიქრია ბაქრაძეს განცხადებებს გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირებმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყეს 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების შესაბამისად, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილების თანახმად სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1 იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

**დაკმაყოფილდეს მაგდა შინჯიკაშვილის, თემურ ადონიას და ფიქრია ბაქრაძეს განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

## **აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:**

(ა) ელენე ქიშმარიას განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 26 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

ელენე ქიშმარიამ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული შპს „GTT Group“-ის მიერ იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან - დღემდე, 2019 წლის 28 იანვრის მდგომარეობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელენე ქიშმარიას მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ელენე ქიშმარიას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) ოგანეზ მხითარაიანის განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 12 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან დასტურდებოდა, ის ფაქტი რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით მის მიერ პროკურატურის მუშაკთა შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი და წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდებოდა, რომ იგი დადგენილი წესით გამწესდა პროკურორად ოგანეზ მხითარაიანს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა რითაც დასტურდება, მის მიერ პროკურატურის მუშაკთა შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდგომ დადგენილი წესით პროკურორად ან მასთან გათანაბრებულ პოზიციაზე პირის გამწესების ფაქტი.

ოგანეზ მხითარაიანმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ სხვადასხვა, მათ შორის პროკურორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 1989 წლის 5 მაისიდან - 2018 წლის 15 მაისამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ ოგანეზ მხითარაიანის მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება მის მიერ პროკურატურის მუშაკთა შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდგომ დადგენილი წესით პროკურორად გამწესების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლისა და 21-ე მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება:**

## **დაკმაყოფილდეს ოგანეზ მხითარაიანის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(გ) **თამარ ბალაშვილის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 28 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

თამარ ბალაშვილმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული შპს „ლეგალ სტანდარტის“-ისა და ადვოკატ ბექა ბადრიშვილის მიერ იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2017 წლის 15 სექტემბრიდან - 2018 წლის 8 ოქტომბრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ თამარ ბალაშვილის მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ ბალაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(დ) **გიორგი ფრანგიშვილის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 21 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

გიორგი ფრანგიშვილმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული საქართველოს ნოტარიუსის ჟენია ტარტარაშვილის მიერ სანოტარო ბიუროში იურისტ კონსულტანტად მუშაობის შესახებ 2014 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით.

წევრებმა განაცხადეს, რომ გიორგი ფრანგიშვილის მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი ფრანგიშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

**(ე) თორნიკე ტატუნაშვილის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 26 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

თორნიკე ტატუნაშვილმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული შპს „ქეი ენ ეს ქონსალთინგის“ მიერ იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2018 წლის 27 ივნისიდან - 2018 წლის 1-ელ დეკემბრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ თორნიკე ტატუნაშვილის მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თორნიკე ტატუნაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

**(ვ) ვალერი ხითაროვის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 27 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

ვალერი ხითაროვმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული შპს „პლაზა სერვისის“ მიერ იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2017 წლის 12 სექტემბრიდან - 2018 წლის 17 აპრილამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ ვალერი ხითაროვის მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ვალერი ხითაროვის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

**(ზ) ანნა ლილუაშვილის** განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 25 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი,

შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

ანა ლილუაშვილმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული შპს „იოს“ მიერ იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2017 წლის 16 ნოემბრიდან - დღემდე, 2019 წლის 28 იანვრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ ანა ლილუაშვილის მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი და აღნიშნული შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანა ლილუაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(თ) თამთა მაისურაძეს განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 21 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

თამთა მაისურაძემ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2016 წლის 22 ნოემბრიდან - 2017 წლის 30 იანვრამდე კანცელარიის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო 2017 წლის 30 იანვრიდან - დღემდე, 2019 წლის 15 იანვრის მდგომარეობით, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ თამთა მაისურაძეს მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის წამყვანის სპეციალისტის პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნად დადგენილია უმაღლესი განათლება ან უმაღლესი იურიდიული განათლება, თუმცა მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით სადაც მითითებულია ფუნქცია მოვალეობები, არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს თამთა მაისურაძეს განცხადება გაწევრიანების თაობაზე 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს ეცნობოს წერილობით მიღებული გადაწყვეტილების და გასაჩივრების წესის

## თაობაზე.

(ი) გურანდა ჭანიძეს განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 26 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

გურანდა ჭანიძემ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული შპს „დია-მოს“ მიერ იურისტის თანაშემწედ მუშაობის შესახებ 2014 წლის 30 ნოემბრიდან - 2015 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე, რომელიც არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით და არ დაიშვება სამართალწარმოებაში, სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა, ორგანიზაციებში და საზოგადოებრივ გაერთიანებებში. შესაბამისად გურანდა ჭანიძეს მიერ წარმოდგენილი ცნობებით საიდანაც დასტურდება მისი ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის სტაჟი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ვერ ჩაითვლება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტად, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს გურანდა ჭანიძეს განცხადება გაწევრიანების თაობაზე 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან შეუსაბამობის გამო;
1. განმცხადებელს ეცნობოს წერილობით მიღებული გადაწყვეტილების და გასაჩივრების წესის თაობაზე.

(კ) ნანა ოდიშელიძეს განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 19 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

ნანა ოდიშელიძემ დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული ადვოკატ ირაკლი კალატოზიშვილის მიერ ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის შესახებ 2017 წლის 5 სექტემბრიდან - დღემდე, 2019 წლის 30 იანვრის მდგომარეობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე, რომელიც არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით და არ დაიშვება სამართალწარმოებაში, სასამართლოში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა, ორგანიზაციებში და საზოგადოებრივ გაერთიანებებში. შესაბამისად ნანა ოდიშელიძეს მიერ წარმოდგენილი ცნობებით საიდანაგ დასტურდება მისი ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის სტაჟი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ვერ ჩაითვლება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტად, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს ნანა ოდიშელიძეს განცხადება გაწევრიანების თაობაზე 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს ეცნობოს წერილობით მიღებული გადაწყვეტილების და გასაჩივრების წესის თაობაზე.

(ლ) ქეთევან დიდებაშვილის განცხადებას, რომლითაც ასოციაციას გაწევრიანების თაობაზე მომართა 2018 წლის 25 დეკემბერს და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობებით არ დადასტურდა იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამატებით დაევალა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დეტალურად გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

ქეთევან დიდებაშვილმა დამატებით წარმოადგინა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ კანცელარიის სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ, ასევე, 2018 წლის 17 სექტემბრიდან - 2019 წლის 21 თებერვლის ჩათვლით, დაკისრებული სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს სხდომის მდივნის ფუნქციების განხორციელების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ქეთევან დიდებაშვილის მიერ დამატებით წარდგენილი ცნობით დასტურდება, რომ იგი იურისტის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს 2018 წლის 17 სექტემბრიდან რაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს მისი შრომითი სტაჟის შესაბამისობა 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს ქეთევან დიდებაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10

მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან შეუსაბამობის გამო;  
2. განმცხადებელს ეცნობოს წერილობით მიღებული გადაწყვეტილების და გასაჩივრების წესის თაობაზე.

## საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი პირების გიორგი ჯამბაზიშვილის, ვარლამ ხათრიძის, ანი მორგოშას, თამაზი ტაბალუას და სალომე კალანდაძის განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა“ შესახებ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

“ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი გიორგი ჯამბაზიშვილის, ვარლამ ხათრიძის, ანი მორგოშას, თამაზი ტაბალუას და სალომე კალანდაძის განცხადებები.

## საკითხი 3. წევრობის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ განცხადებების განხილვა

თორნიკე ტატუნაშვილი, ნინო კოჭორიძე, 2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირები: ზურაბ ჭოჭუა, ვახტანგ ბურჯანაძე, ერასტი ჯაკობია, ომარ ოქროპირიძე, არჩილ ჯორთმენაძე, თამარი დელიბაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ბაჩანა კვარაცხელია, ნათია გოგიჩაიშვილი, წევრობის შეწყვეტის მოთხოვნით: შოთა პაპიაშვილი, საწევრო დავალიანების გაუქმების და წევრობის შეჩერების მოთხოვნით: გიორგი დევდარიანი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2018-2019 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup>



მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამავდროულად, 2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს: ვახტანგ ბურჯანაძეს, ზურაბ ჭოჭუას, ერასტი ჯაკობიას, ომარ ოქროპირიძეს, არჩილ ჯორთმენაძეს, თამარი დელიბაშვილს, გრიგოლ აბაშიძეს, ბაჩანა კვარაცხელიას და ნათია გოგიჩაიშვილს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

(ბ) საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21<sup>3</sup> მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული შოთა პაპიაშვილის განცხადება წევრობის შეწყვეტის შესახებ.

(გ) დაკმაყოფილდეს გიორგი დევედარიანის განცხადება საწევრო გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრობის შეჩერების თაობაზე.

საკითხი 4. ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით ადვოკატისთვის საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება

წევრები გაეცნენ ასოციაციის ეთიკის კომისიის მომართვას რომლის თანახმად, ეთიკის კომისიამ ადვოკატ თამარ ჯაფარიძის (სიითი N4327) მიმართ 2018 წლის 25 ივნისს საქმეზე N077/16 მიიღო გადაწყვეტილება საადვოკატო საქმიანობის უფლების 6 (ექვსი) თვის ვადით ჩამორთმევის თაობაზე. ადვოკატს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ჩაბარდა 2018 წლის 30 ოქტომბერს, რომელიც საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა 2018 წლის 04 დეკემბერს. სადისციპლინო პალატის 2019 წლის 14 იანვრის განჩინებით (საქმე Nსსდ-12-18) ადვოკატ თამარ ჯაფარიძის საკასაციო საჩივარი გასაჩივრების ვადის გაშვების საფუძველით განუხილველი დარჩა, რაც ეთიკის კომისიას ჩაბარდა 2019 წლის 16 იანვარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-7 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო „აღასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებებს“.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისს საქმეზე N077/16 მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ადვოკატ თამარ ჯაფარიძის (სიითი N4327) მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების 6 (ექვსი) თვის ვადით ჩამორთმევის თაობაზე საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0), ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-7 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულდეს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისს საქმეზე N077/16 მიღებული გადაწყვეტილება და თამარ ჯაფარიძეს (სიითი N4327) შეუჩერდეს საადვოკატო საქმიანობის უფლება 6 (ექვსი) თვის ვადით.

## **საკითხი 5. 2019 წლის 3 თებერვლის რიგგარეშე საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცება**

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო ადვოკატთა ასოციაციის 2019 წლის 3 თებერვლის რიგგარეშე საერთო კრების რეგლამენტის პროექტი. წევრები გაეცნენ წარმოდგენილ პროექტს. განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

**დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის 2019 წლის 3 თებერვლის რიგგარეშე საერთო კრების რეგლამენტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი #1).**

## **საკითხი 6. საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა**

წევრები გაეცნენ ნიკოლოზ ზაქარაიას განცხადებას 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ იგი იმყოფებოდა ეკონომიურად მძიმე მდგომარეობაში, ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, ოჯახში ჰყავდა ონკოლოგიური ავადმყოფი და ორი მცირეწლოვანი შვილი. განცხადებას თან ერთვის ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა 100.

წევრების მიერ გათვალისწინებულ იქნა განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები და ღია კენჭისყრით (მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0) ერთხმად იქნა მიღებული:

**გადაწყვეტილება:** დაკმაყოფილდეს ნიკოლოზ ზაქარაიას განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე.

## **საკითხი 7. საშელავათო საწევროს განსაზღვრის კრიტერიუმების დამტკიცება**

წევრები გაეცნენ აღმასრულებლის საბჭოს 2006 წლის 1-ლი თებერვლის, 2007 წლის 31 მაისის, 2010 წლის 19 მაისის და 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებებს, რითაც განსაზღვრული იყო ასოციაციის იმ წევრების შერჩევის კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც წევრები სარგებლობენ საწევრო შეღავათით.

წევრებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებებში მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება და დამტკიცდეს ახალი და ერთიანი საშელავათო საწევროს გადახდის წესი და ამასთან განისაზღვროს ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც წევრები ისარგებლებენ საწევრო შეღავათებით.

წევრებმა წარმოადგინეს მოსაზრებები და მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) ცვლილება შევიდეს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1-ლი თებერვლის, 2007

წლის 31 მაისის, 2010 წლის 19 მაისის, 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებებში და განისაზღვროს ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები ისარგებლებენ საწევრო შეღავათებით;

(ბ) ასოციაციის წესდების 29.5. პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ასოციაციის წევრთა საწევრო შეღავათების შემდეგი ერთიანი კრიტერიუმები:

**1. 50%-იანი საწევრო შეღავათი გავრცელდეს ასოციაციის შემდეგ წევრებზე:**

**1.1. მრავალშვილიანი მშობლები (3 და მეტი არასრულწლოვანი შვილების შემთხვევაში);**

*(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები, შვილების დაბადების მოწმობის ასლები).*

**1.2. მარტოხელა დედა (მარტოხელა დედის სტატუსის მქონე პირი);**

*(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, შვილის დაბადების მოწმობა, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სტატუსის შესახებ).*

**1.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (I და II ჯგუფი);**

*(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ).*

**1.4. წევრები, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ რეგიონებში;**

*(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, რეგიონის საგადასახადო სამსახურიდან გაცემული ცნობა გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის შესახებ).*

**1.5. წევრები, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ როგორც სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული ბიუროების საზოგადოებრივი ადვოკატები;**

*(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა რეგიონულ ბიუროში საზოგადოებრივ ადვოკატად მუშაობის შესახებ).*

**1.6. საპენსიო ასაკს მიღწეული პირები;**

*(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა).*

**1.7. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსის მქონე პირები;**

*(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი).*

**1.8. 1989 წლის 9 აპრილს ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული პირები;**

*(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი).*

**1.9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები;**  
(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი).

**1. 75%-იანი საწევრო შეღავათი გავრცელდეს ასოციაციის შემდეგ წევრებზე:**

**2.1. საპენსიო ასაკის მქონე წევრები რომლებიც ამავდროულად საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს რეგიონებში;**

(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა და რეგიონის საგადასახადო სამსახურიდან გაცემული ცნობა გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის შესახებ.)

**2.2. საპენსიო ასაკის მქონე წევრები, რომლებიც ამავდროულად არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (I და II ჯგუფი);**

(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა.)

**2.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (I და II ჯგუფი), რომლებიც ამავდროულად საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ რეგიონებში;**

(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და რეგიონის საგადასახადო სამსახურიდან გაცემული ცნობა გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის შესახებ.)

**2.4. წევრები, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში;**

(აღნიშნულის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინონ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი).

**3. წევრზე საშეღავათო საწევრო გავრცელდება მის მიერ შესაბამისი განცხადებისა ან/და დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის საფუძველზე.**

**საკითხი 8. აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე განაცხადის განხილვა**

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო შპს „განათლების ევროპული ცენტრის“ განაცხადი აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განაცხადი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებთან და დართული აქვს

საჭირო დოკუმენტაცია. აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შპს „განათლების ევროპული ცენტრის“ განცხადება აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

#### **საკითხი 9. 2018 წლის ტრენინგ დავალიანების მქონე ადვოკატთა განცხადებების განხილვა**

წევრები გაეცნენ ნინო შავშიშვილისა და შალვა დოლიძეს განცხადებებს განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში 2018 წლის სავალდებულო ტრენინგების გავლისგან გათავისუფლების თაობაზე.

საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საგანმანათლებლო საბჭოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირა საბჭოს სრულმა შემადგენლობამ, შესაბამისად განცხადებებში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიაჩნია მათი გათავისუფლება 2018 წლის სავალდებულო ტრენინგების გავლისგან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი ნინო შავშიშვილისა და შალვა დოლიძეს განცხადებები, განცხადებებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;
2. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებლებს.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge)

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**დავით ასათიანი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა**

**ასოციაციის თავმჯდომარე**